მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

2023 წელი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	**32,679.4**	**25,595.0**	**7,084.4**	**38,654.8**	**31,904.7**	**6,750.1**
გადასახადები	21,175.0	21,175.0	-	21,967.2	21,967.2	-
გრანტები	7,384.4	300.0	7,084.4	7,050.2	300.0	6,750.1
სხვა შემოსავლები	4,120.0	4,120.0	-	9,637.5	9,637.5	-
II. ხარჯები	**29,302.5**	**28,136.5**	**1,166.0**	**25,767.0**	**24,699.3**	**1,067.7**
შრომის ანაზღაურება	4,205.4	4,015.4	190.0	4,016.3	3,826.4	189.9
საქონელი და მომსახურება	8,193.2	7,536.3	656.9	5,930.3	5,351.3	578.9
პროცენტი	62.3	62.3	-	62.3	62.3	-
სუბსიდიები	13,946.8	13,747.8	199.0	13,770.9	13,572.0	199.0
გრანტები	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,404.9	1,404.9	-	1,156.7	1,156.7	-
სხვა ხარჯები	1,447.9	1,327.9	120.0	788.5	688.6	99.9
III. საოპერაციო სალდო	**3,376.9**	**- 2,541.5**	**5,918.5**	**12,887.8**	**7,205.4**	**5,682.4**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**39,183.8**	**32,047.2**	**7,136.7**	**11,808.0**	**5,605.0**	**6,203.1**
ზრდა	39,783.8	32,647.2	7,136.7	25,173.7	18,970.7	6,203.1
კლება	600.0	600.0	-	13,365.7	13,365.7	-
V. მთლიანი სალდო	**-35,806.9**	**- 34,588.7**	**- 1,218.2**	**1,079.8**	**1,600.4**	**- 520.6**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-35,932.6**	**- 34,714.4**	**- 1,218.2**	**954.1**	**1,474.7**	**- 520.6**
ზრდა	**-**	**-**	-	**1,474.7**	**1,474.7**	-
ვალუტა და დეპოზიტები	**-**	-	-	**954.1**	1,474.7	-
კლება	**35,932.6**	**34,714.4**	**1,218.2**	**520.6**	**-**	**520.6**
ვალუტა და დეპოზიტები	35,932.6	34,714.4	1,218.2	520.6	-	520.6
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 125.7**	**- 125.7**	**-**	**- 125.7**	**- 125.7**	**-**
კლება	**125.7**	**125.7**	**-**	**125.7**	**125.7**	**-**
საშინაო	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
სესხები	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების ფორმა

ათას ლარში

დასახელება	**2022 წლის გეგმა**	**2022 წლის ფაქტი**	**შესრულება %-ში**
შემოსულობები	**33,279.4**	**52,020.5**	156
შემოსავლები	32,679.4	38,654.8	118
არაფინანსური აქტივების კლება	600.0	13,365.7	2,228
გადასახდელები	**69,212.0**	**51,066.4**	74
ხარჯები	29,302.5	25,767.0	88
არაფინანსური აქტივების ზრდა	39,783.8	25,173.7	63
ვალდებულებების კლება	125.7	125.7	100
ნაშთის ცვლილება	**- 35,932.6**	**954.1**	

2022 წელს ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 35 932,6 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ 954,1 ათასი ლარი;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **33 279,4** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **52 020,5** ათ.ლარი, ანუ გეგმის 156% .

I. შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **32 679,4** ათასი ლარი, ფაქტობრივად **38 654,8** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 118% და მთლიანი შემოსულობების - 74% შეადგინა.

შემოსავლების ხვედრითი წილი სახეობების მიხედვით 2022 წელი



1. **გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 21 967,2 ათასი ლარი, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 19 779,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2 187,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13 612,5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 9 370,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 733,2 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 436,2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 13 593,0 ათასი ლარი) შედარებით 19,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადზე და სასოფლო და არასასოფლო მიწებზე ქონების გადასახადებზე მოდის. (2021 წლის ფაქტი - 3 747,5 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 8 354,7 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 6 186,3 ათასი ლარი) შედარებით 2 168,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულება %-ში
გადასახადები	**21,175.0**	**21,967.2**	**792.2**	**104**
ქონების გადასახადი	**12,915.0**	**13,612.5**	**697.5**	**105**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**9,300.0**	**9,370.3**	70.3	101
უცხოურ საწარმოთა ქონება		**72.8**	72.8	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**470.0**	**733.2**	263.2	156
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	**420.0**	**497.0**	**77.0**	**118**

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულება %-ში
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	**2,725.0**	**2,939.1**	**214.1**	**108**
დღგ	**8,260.0**	**8,354.7**	**94.7**	**101**

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია სულ **7 050.2 ათასი** ლარი, მათ შორის:
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის (მთავრობის განკარგულება N277 15.02.2022წ.)- 836,0 ათასი ლარი;
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N75 17.01.2022წ.) - 4 985,4 ათასი ლარი,
საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში (მთავრობის განკარგულება N2374 27.12.2021წ.)- 300,0 ათასი ლარი;
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N1934 25.10.2022წ.)- 99,9 ათასი ლარი;
მიზნობრივი ტრანსფერი 828,8 ათასი ლარი, მ.შ.: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 405.0 ათ. ლარი (,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 199.0 ათასი ლარი და ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 206.0 ათასი ლარი), და **საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის** (მთავრობის განკარგულება N51 14.01.21წ) - 423,8 ათასი ლარი;

ათას ლარში

შემოსავლის სახეები	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების %
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**7,384.4**	**7,050.2**	**95**
მიმდინარე, მ.შ.	**828.8**	**828.8**	**100**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის	828.8	828.8	**100**
კაპიტალური, მ.შ.	**6,555.6**	**6,221.3**	**95**
კაპიტალური ტრანსფერი (რგფ)	5,299.6	4,985.4	**94**
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე	120.0	99.9	**83**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	836.0	836.0	**100**
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	300.0	300.0	**100**

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 4,120 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ **9 637,5** ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 234%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

(2021 წლის ფაქტი – 7 807.9 ათასი ლარი) შედარებით 1 829.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3 329,3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2591.9 ათასი ლარი) შედარებით 737.4 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 1182,1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (925,4 ათასი ლარი) შედარებით 256,7 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან** - 1020,5 ათასი ლარი, **მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან** - 161,6 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 1 279,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (770,0 ათასი ლარი) 166%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 676,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (120,0 ათასი ლარი) 564%-ია, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.4 ათასი ლარი, ხოლო დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 601,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (650.0 ათასი ლარი) 93%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (575,9 ათასი ლარი) შედარებით 74,1 ათასი ლარით მეტია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 55,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10.0 ათასი ლარი) 551%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 43,9 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -2,4 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 8,7 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 697,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 000,0 ათასი ლარი) 185%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2 999,7 ათასი ლარი) შედარებით 999,7 ათასი ლარით მეტია.

მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის **3 214,1** ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - **117,7** ათასი ლარი, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო **238,9** ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ჯარიმები - 127,0 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 94,1 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 90,5 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 3,2 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 0,3 ათასი ლარი;

ათას ლარში

შემოსავლის სახეები	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულ ების %
სხვა შემოსავლები	**4,120.0**	**9,637.5**	5,517.5	234
შემოსავლები საკუთრებიდან	**1,340.0**	**4,511.3**	3,171.3	337
პროცენტი	**650.0**	**3,329.3**	2,679.3	512
რენტა	**690.0**	**1,182.1**	492.1	171
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის	**600.0**	**1,020.5**	420.5	170
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი და სხვა) გადაცემიდან	**90.0**	**161.6**	71.6	180

შემოსავლის სახეები	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულ ების %
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**780.0**	**1,334.4**	554.4	171
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**770.0**	**1,279.3**	509.3	166
სანებართვო მოსაკრებელი	**120.0**	**676.7**	556.7	564
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების	**0.0**	**1.4**	1.4	
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების	**650.0**	**601.3**	-48.7	93
არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	**10.0**	**55.1**	45.1	551
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	**10.0**	**55.0**	45.0	550
სანქციები , ჯარიმები და საურავები	**2,000.0**	**3,697.7**	1,697.7	185
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**0.0**	**94.1**	94.1	

4. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 13 365,7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 683,8 ათასი ლარი (შენობა-ნაგებობები - 668,9 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 14,9 ათასი ლარი) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 12 681,8 ათასი ლარი.

ათას ლარში

შემოსავლის სახეები	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	სხვაობა	შესრულ ების %
არაფინანსური აქტივების კლება	**600.0**	**13,365.7**	**12,765.7**	**2228**
ძირითადი აქტივები	**0.0**	**683.8**	683.8	
შენობა-ნაგებობების გაყიდვა		**668.9**	668.9	
სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა		**14.9**	14.9	
არაწარმოებული აქტივები	**600.0**	**12,681.8**	12,081.8	2114
მიწა	**600.0**	**12,681.8**	12,081.8	2114

II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2022 წელს გადასახდელების შესრულების 74%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (64%) მეტია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 14 882,0 ათასი ლარით მეტი.

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 69 212,0 ათასი ლარი, ხოლო **გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 51 066,4 ათასი ლარი,** რაც გეგმური მაჩვენებლის 74%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **29 302,5** ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - **25 767,0** ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 88% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 51%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **39 783,8** ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 25173,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 63% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 49%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 125,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%-ია;

2022 წლის ასიგნებების სტრუქტურა (საკასო ხარჯი)



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა **მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 25 767,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 205,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4016,3 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 96%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 15,6%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 8 193,2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 5 930,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 72%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 23%-ია.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 62,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 62,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა **13 946,8** ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 770,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 53,4%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 5692,8 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 2432,4 ათასი ლარი;
- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 583,0 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა 330,0 ათასი ლარი;
- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა 73,9 ათასი ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 128,5 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 1572,4 ათასი ლარი;
- კულტურის ღონისძიებები - 1495,1 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები 289,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა 172,9 ათასი ლარი;

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 42,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.2%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით დაფინანსებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი"-ს კომუნალური ხარჯები.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1404,9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1156,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 80%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 4,5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება 787,1 ათასი ლარი

ერთჯერადი სოციალური დახმარებები 92,3 ათასი ლარი;

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება -22,1ათასი ლარი

ცელიაკიით დაავადებულ 3 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება 3,0 ათასი ლარი;

მესამე და მეტი შვილის შეძენის გამო ერთჯერადი ფინანსური დახმარება 10,4 ათასი ლარი ;

გაჭირვებული მოსახლეობისთვის საწვავი შეშის შეძენა - 20,1 ათასი ლარი;
18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული 6 ბენეფიციარის საკურორტო დახმარება - 5,8 ათასი ლარი.
სკოლამდელი ასაკის ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა -182,3 ათასი ლარი.
გარდაცვლილი ვეტერანების სარიტუალო მომსახურებისთვის ფინანსური დახმარება 1,3 ათასი ლარი;
9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე 3 ვეტერანზე ფინანსური დახმარება 1,5 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1447,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 788,5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 55%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 3,1%-ია.
სხვა ხარჯების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:
მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები - 63,3 ათ. ლარი;
მუნიციპალიტეტის მერია - მწვრთნელების და წარმატებული სპორტსმენების ჯილდოს დაფინანსება, სასამართლო განჩინებით დაკისრებული განაცდური ხელფასის ანაზღაურება,
სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სამედიცინო პერსონალისთვის სასაჩუქრე კალათის შესყიდვა - სულ 182,5 ათ.ლარი;
მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 127,2 ათ.ლარი მცხეთაში, ანტიოქიის ქუჩა N10-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლიდან წყლის მოსაცილებლად დრენაჟის მოწყობა; ქ. მცხეთაში, არმაზის დასახლებაში N2 -ში N8 კორპუსის გამაგრება-აღდგენა; ქ. მცხეთაში რკინიგზის სადგურის დასახლებაში (ს/კ 72.07.08.096) საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 20,4 ათ.ლარი - ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, სამხედროს ქ.N12 ა-ში საცხოვრებელი კორპუსის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. გალავანში საბავშვო ბაღის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია; სოფ. საგურამოში კანალიზაციის ქსელის მოწყობა.
მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - 5,4 ათ.ლარი;
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - 196,6 ათ. ლარი: ქ. მცხეთაში ხანძრის შედეგად დაზიანებული კორპუსის სახურავის აღდგენა; სოფ. ნიჩბისში საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენა, სოფ. საგურამოში სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად მასალის შეძენა.
ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა - 41,5 ათ. ლარი - ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 151,7 ათ. ლარი - ხანძრით დაზარალებულთათვის ერთჯერადი დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის სამშენებლო მასალებით დახმარება.

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების და შპს „სოფწყალი"-ს დაფინანსება 2022 წელს

ათას ლარში

N	**დასახელება**	**გეგმა**	**ფაქტი**	**შესრულების %**
1	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"	3,351.0	3,339.0	100
2	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"	5,877.0	5,790.3	99
3	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"	270.6	268.9	99
4	ა(ა)იპ "უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ნიჩბოსნობის აკადემია"	270.0	258.7	96
5	ა(ა)იპ "უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"	380.0	376.4	99
6	ა(ა)იპ "სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"	234.4	228.2	97
7	ა(ა)იპ ,,მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"	462.5	458.1	99
8	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“	1,286.3	1,234.6	96
9	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"	261.1	260.4	100
10	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	294.6	294.5	100
11	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"	98.1	98.0	100
12	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"	75.7	75.5	100
13	შპს "სოფწყალი"	1,583.0	1,583.0	100
	სულ დაფინანსება	14,444.1	14,265.6	99



არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1,258.9	782.7	62.2
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	31,637.2	20,616.3	65.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	874.1	774.0	88.5
04 00	განათლება	1,919.7	638.8	33.3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,580.6	1,854.3	51.8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	513.3	507.6	98.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	39,783.8	25,173.7	63.3

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 8 202,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 747,8 ათასი ლარი) 84,1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) 16,1%-ს შეადგენს, მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8140,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (9685,6 ათასი ლარი) 84%-ია;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 62,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

◙ **თავდაცვის** სფეროში დაგეგმილ იქნა 250,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 246,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,5%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) 0.5%-ს შეადგენს.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 22 952,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 14 470,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 28%. მათ შორის:

✓ საავტომობილო ტრანსპორტის და გზების დაფინანსებამ შეადგინა 9 970,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (17 337,1 ათასი ლარი) 58%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 499,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,615,3 ათასი ლარი) 80%-ს შეადგენს.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 647,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 369,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 7%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 2 805,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 815,0 ათასი ლარი) 99,6%-ია;

✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა - 564,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (832,0 ათასი ლარი) 67,9%-ია;

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 15 029.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 10 641,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 71%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) **–21%.** მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 253,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (346,7 ათასი ლარი) 73%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 271,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 495,5 ათასი ლარი) 65%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 3 760,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 370,0 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 2 017,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 504,0 ათასი ლარი) 80,6%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 2 339,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 312,8 ათასი ლარი) 54.3%-ს შეადგენს.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 294,6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 294,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 0,6%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 294,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (294,6 ათასი ლარი) 99,9%;

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 6791,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4965,2 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 73,1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 9,7%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 3115,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4445,5 ათასი ლარი) 70.1%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1589,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (2064,7 ათასი ლარი) 77%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 260,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (261,1 ათასი ლარი) 99,8%-ს შეადგენს;

✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 0,0 ათასი ლარი, ხოლო გეგმამ 20,0 ათასი ლარი;

◙ **განათლების სფეროს დასაფინანსებლად** გეგმა განისაზღვრა 8164,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 6796,9 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 83,2%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 13,3%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 6113,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (7476,3 ათასი ლარი) 81,8%-ს შეადგენს;

✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 683,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (688 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს;

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2209,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1953,4 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 88,4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების (50 940,7 ათასი ლარი) – 3,8%. მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 787,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (900,0 ათასი ლარი) 87,5%-ს შეადგენს;

✓ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 98,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (98,1 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 375,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (497,2 ათასი ლარი) 75,4%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 693,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (714,4 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს;

ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 ფაქტი	შესრულების %
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	9,747.8	8,202.8	84.1
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9,685.6	8,140.5	84.0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,405.6	8,140.5	86.5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	280.0	0.0	-
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	62.3	62.3	100.0
7.2	**თავდაცვა**	250.0	246.4	98.5
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	250.0	246.4	98.5
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	22,952.3	14,470.5	63.0
7.4 5	ტრანსპორტი	17,337.1	9,970.7	57.5
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	17,337.1	9,970.7	57.5
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	5,615.3	4,499.8	80.1
7.5	**გარემოს დაცვა**	3,647.0	3,369.6	92.4
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,815.0	2,805.0	99.6
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	832.0	564.6	67.9
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	15,029.1	10,641.5	70.8
7.6 1	ბინათმშენებლობა	346.7	253.2	73.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3,495.5	2,271.2	65.0
7.6 3	წყალმომარაგება	4,370.1	3,760.0	86.0
7.6 4	გარე განათება	2,504.0	2,017.3	80.6
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4,312.8	2,339.8	54.3
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	294.6	294.5	100.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	294.6	294.5	100.0
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	6,791.2	4,965.2	73.1

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 ფაქტი	შესრულების %
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4,445.5	3,115.7	70.1
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2,064.7	1,589.1	77.0
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	261.1	260.4	99.8
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	20.0	0.0	-
7.9	**განათლება**	8,164.5	6,796.9	83.2
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	7,476.5	6,113.3	81.8
7.9 2	ზოგადი განათლება	688.0	683.7	99.4
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	688.0	683.7	99.4
7 10	**სოციალური დაცვა**	2,209.7	1,953.4	88.4
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	900.0	787.1	87.5
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	98.1	98.0	99.9
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	497.2	375.0	75.4
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	714.4	693.2	97.0
	სულ	69,086.3	50,940.7	73.7

სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 280,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ფონდიდან თანხა არ გამოყოფილა;

წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წელს ფონდმა სესხის სახით განახორციელა მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის (5 ცალი) და ნარჩენების კონტეინერების (200 ცალი) გადაცემა. სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა **188,0** ათასი ლარი, აქედან, ვალების მომსახურებისათვის **(პროცენტების გადახდა)** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა **62,3** ათასი ლარი, ხოლო **ვალების დაფარვისათვის - 125,7** ათასი ლარი. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება შეადგენს **529,1** ათას ლარს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

✓ პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 25 112,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (37 981,4 ათასი ლარი) 66,1%-ია;

✓ პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 369,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (3 647,0 ათასი ლარი) 92%-ია;

✓ პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 796,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (8 164,5 ათასი ლარი) 83%-ია;

✓ პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 965,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (6 791,2 ათასი ლარი) 73%-ია;

✓ პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 247,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 504,3 ათასი ლარი) 90%-ია;

✓ პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 574,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 123,6 ათასი ლარი) 85%-ია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

02 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** 2022 წელს დაფინანსდა 25 112,0 ათასი ლარით.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	37,981.4	25,112.0	66.1
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	17,337.1	9,970.7	57.5
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	11,368.0	7,792.8	68.6
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	5,969.0	2,177.9	36.5
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	4,529.0	3,918.1	86.5
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,583.0	1,583.0	100.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2,787.1	2,177.0	78.1
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა – რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	158.9	158.1	99.5
02 03	**გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია**	2,504.0	2,017.3	80.6
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,596.3	1,316.3	82.5
02 03 01 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,266.3	986.4	77.9
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	330.0	330.0	100.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია		701.0	
02 04	**მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	346.7	253.2	73.0
02 06	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	5,422.3	3,072.6	56.7

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების %
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	4,312.8	2,339.8	54.3
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	74.0	73.9	99.9
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	618.0	241.3	39.0
02 06 04	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	417.5	417.5	100.0
02 07	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	1,081.2	828.2	76.6
02 08	**სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	545.7	282.7	51.8
02 09	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	1,292.1	584.7	45.2
02 10	**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება**	4,923.3	4,184.6	85.0

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 9 970,7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 17 337,1 ათასი ლარის 57,5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**გზების კაპიტალური შეკეთება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 01 02		**7,792.8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები	2022 წლის გეგმა განისაზღვრა 11 368,0 ათასი ლარით, დაფინანსდა - 7 792,8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 3 301,1 ათასი ლარი), რაც გეგმის 68,6%-ია. საშუალოდ წლის განმავლობაში გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოები უტარდება დაახლოებით 20000 გრძ.მ გზას, საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა დაახლოებით 25403 გრძ/მ გზას (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4700 გრძ.მ გზას და რგფ-დან 17383 გრძ.მ-ს), მათ შორის რგფ-დან თანადაფინანსებით განხორციელდა: სოფ. ციხისძირში მისასვლელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (1756 გრძ.მ), სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (779 გრძ.მ), ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზების (მტკვრის ქუჩის) რეაბილიტაცია (228 გრძ.მ), სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (1180 გრძ.მ), საგურამო-ჯიღაურა-წინამძღვრიანთკარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (8000 გრძ.მ), სოფ. ნატახტარში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (920 გრძ.მ), სოფ. ნატახტარში გზის რეაბილიტაცია (920გრძ.მ), სოფ. წილკანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (505 გრძ.მ), სოფ. აღდგომლიანთკარში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (746 გრძ.მ); სოფ. ახალუბნის და სოფ. მისაქციელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (704 გრძ.მ); სოფ. ახალუბანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (1645გრძ.მ); ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა სოფ. წილკანში 2 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში, გზების რეაბილიტაცია; შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია სოფლებში: ნიჩბისი, ხეკორძი, საგურამო, მუხრანი (სახოხბეს უბანი, მეორე სკოლასთან, მთიულების უბანი),		

	ძველი ქანდა; მიმდინარე პროექტებია: შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა სოფ. წოდორეთში (რგფ, 2636 გრძ.მ), სოფ. საგურამოში (მე-II გზა), სოფ. ზაქაროში (I და მე-II გზა), სოფ. ძეგვში (ე.წ. ნაკურთხევის გზა), სოფ. ნაფეტვრებში (ნაფეტვრები 2); სოფ. კოტორაანთკარში (რგფ, 1032 გრძ.მ), სოფ. ქსოვრისში; სოფ.მამკოდას მიმდებარედ „ე. წ. ხოდაბუნების დასახლების" მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
მიღწეული მაჩვენებელი	მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება და მგზავრობის დროის შემცირება; არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა;

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**გზების კეთილმოწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 01 03		**2,177.9**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	2022 წლის გეგმა განისაზღვრა 5969,0 ათასი ლარით, დაფინანსდა - 2177,9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 1425,6 ათასი ლარი), რაც გეგმის 36,5%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქ. მცხეთაში, სავალი ნაწილის გასწვრივ (1600 მ.) მოეწყო ახალი ბეტონის ბორდიურები, ახალი გარე განათების ქსელი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ტროტუარისა და სავალი ნაწილის განათება, უსაფრთხოების მიზნით გარკვეულ მონაკვეთზე (18 მ) მოეწყო ლითონის მოაჯირი, ახალი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები, ტროტუარსა და საყრდენ კედელს შორის მოეწყო გაზონი; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: ქ. მცხეთაში, მირიან მეფის ქუჩის მიმდებარე ჩიხის (დედათა მონასტერთან) 150 მ. მონაკვეთის ტროტუარების და ბორდიურების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, ქ. მცხეთაში გარე განათებისა და ტროტუარების მოწყობა ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე, ქ. მცხეთაში, სამხედროს ქ. N73-75 საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი გზის მოწყობა, 2 ლოკაციაზე შუქნიშნების განთავსება, მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების ორმოული მოასფალტება; სოფ. ბევრეთსა და ძალაანთხევში მისასვლელი ბოგირის რეაბილიტაცია; ქალაქ მცხეთაში 2 ლოკაციაზე დამონტაჟდა შუქნიშანი, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები დამონტაჟდა ქ. მცხეთაში და მუნიციპალიტეტის 20 სოფელში (ციხისძირი, საგურამო, მუხრანი, ვაზიანი, წეროვანი, წილკანი, ძალისი, მისაქციელი, ნატახტარი, ქსანი, აღდგომლიაანთკარი, გალავანი, ქსოვრისი, ძეგვი, ნიჩბისი, ლისი, ჯიღაურა, ნავაზი, ნავდრაანთკარი, ძველი ქანდა); მიმდინარე პროექტებია: ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა ფოსტიდან სვეტიცხოვლის შესასვლელამდე (გამსახურდიას ქუჩის დასაწყისი); ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა შადრევნიდან ბაზრის ჩასახვევამდე; აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე); ქ. მცხეთაში ტროტუარების, ბორდიურების და გამწვანების მოწყობა ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე; ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა-მონტაჟი;		
მიღწეული	ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა)		

მაჩვენებელი	უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 02 01		**1,583.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს "მცხეთის სოფწყალი"		
განხორციელებული ღონისძიებები	2022 წლის გეგმა განისაზღვრა 1583,0 ათასი ლარით, დაფინანსდა - 1583,0 ათასი ლარით რაც გეგმის 100%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 59 სოფელში განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელვა და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 99 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP-ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“ -ს (4 სოფელი) მეშვეობით. 2022 წელს წყლის გამანაწილებელი ქსელი გაიზარდა 3662 კმ-ით და შეადგინა დაახლოებით 353547 კმ, ხოლო შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობამ შეადგინა 109 ერთეული (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი), რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე. ორგანიზაციის მომსახურების არეალს შეემატა 4 ერთეული ჭაბურღილის ტუმბო და რეზერვუარი სოფლებში: წილკანი -1 ერთეული ჭაბურღილი, 25 კუბ.მ ტევადობის რეზერვუარი და 119 გრძმ წყალსადენი; ნიჩბისი -1 ერთეული ჭაბურღილი, 24666 გრძმ წყალსადენი; ძალისი -1 ერთეული ჭაბურღილი, 455 გრძმ წყალსადენი; ბიწმენდი - 1 ერთეული ჭაბურღილი, 1333 გრძმ წყალსადენი; ავარიული გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 404 ერთეული, რომელთაგან ფაქტობრივად ყველა აღმოიფხვრა.	
მიღწეული მაჩვენებელი	მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება, ქსელის დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა; გაუმჯობესებული სანიტარული პირობები: რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება;		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 02 02		**2,177.0**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
განხორციელებული ღონისძიებები	2022 წელს ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 2 787,1 ათასი ლარით, დაფინანსდა 2 177,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 930,3 ათასი ლარი), რაც გეგმის 78,1%-ია. მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით 2022 წელს განხორციელდა სოფ. ნავაზში ჭაბურღილის და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფ. წილკანში წყლის ჭაბურღილის და რეზერვუარის მოწყობა, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია სოფლებში: მუხათგვერდი, ზაქარო; **მიმდინარე პროექტებია** - სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა სოფ.ნიჩბისში, ძალისში და ბიწმენდში;
მიღწეული მაჩვენებელი	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია განხორციელდა 4534 გრძ.მ-ზე; მოეწყო 1 ერთეული ჭაბურღილი;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 02 03		**158.1**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა 2022 წელს განისაზღვრა 158,9 ათასი ლარით, დაფინანსდა - 158,1 ათასი ლარით რაც გეგმის 99,5%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი; ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება); საცხოვრებელი კორპუსის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, სამხედროს ქ. N12-ში; საკანალიზაციო სისტემის შეკეთება სოფ. წეროვანწში საცხოვრებელი კორპუსებთან; წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია სოფ. გალავნის საბ.ბაღში, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია სოფ. საგურამოში.		
მიღწეული მაჩვენებელი	საკანალიზაციო სისტემების მოწყობის სამუშაოები შესრულებულია 3 მისამართზე, საკანალიზაციო სისტემის შეკეთების სამუშაოები 1 მისამართზე		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 03 01 01		**1,266.3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	2022 წელს ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 1226,3 ათასი ლარით, დაფინანსდა 986,4 ათასი ლარით, გეგმის 77,9%. 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების წერტილების (8500 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის		

	ხარჯის ანაზღაურება.
მიღწეული მაჩვენებელი	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		330.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 330,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 330,0 ათასი ლარით, გეგმის 100%. საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 10699 წერტილის მოვლა-პატრონობა. ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა.		
მიღწეული მაჩვენებელი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		701.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 907,8 ათასი ლარით, დაფინანსდა 701,0 ათასი ლარით, გეგმის 100%. 2022 წელს განხორციელდა ქ. მცხეთაში ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე. მიმდინარე პროექტია სოფ. ქსანში ისტორიულ ციხეზე მინათებების მოწყობა.		
მიღწეული მაჩვენებელი	ქ. მცხეთაში, ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე 1418 გრძ.მეტრზე დამონტაჟდა 117 გარე განათების ბოძი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ტროტუარისა და სავალი ნაწილის განათება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		253,2
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 346,7 ათასი ლარით, დაფინანსდა 253,2 ათასი ლარით, გეგმის 73%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუხრანის ნაგავსაყრელის შემოღობვა, ქ. მცხეთაში, ანტიოქიის ქ.N10-ში საცხოვრებელ კორპუსის საძირკვლიდან წყლის მოსაცილებლად დრენაჟის მოწყობა, ქ. მცხეთაში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში (ს/კ 72.07.08.096), საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, ქ. მცხეთაში, არმაზის N2 ქუჩის N8 კორპუსის გამაგრება-აღდგენითი სამუშაოები.
მიღწეული მაჩვენებელი	გამართული ინფრასტრუქტურა 1 მისამართზე; რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები 4 მისამართზე.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 06 01		**2,339.8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 4 312,8 ათასი ლარით, დაფინანსდა 2 339,8 ათასი ლარით, გეგმის 54,3%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სკვერების რეაბილიტაცია სოფლებში: ჯიღაურა, ქსანი, ნავდარაანთკარი, წეროვანი; ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, გმირის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. ნავაზში დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული არსენას სკვერის რეაბილიტაცია და ტრენაჟორების მოწყობა; მიმდინარე პროექტებია: სოფ. წილკანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ძალისში სკვერის მოწყობა; სოფ. წეროვანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა, ქ. მცხეთა, ღართიკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს N12 და N12 ა ქუჩაზე სკვერების) რეაბილიტაცია, სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა, ქ. მცხეთაში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სათამაშო მოედნების მოწყობა, სოფ. წინამძღვრიანთკარში სკვერის მოწყობა, სოფ. ციხისძირში არსებული სკვერების (ს/კ 72.10.03.337 და N8 კორპუსის მიმდებარედ) რეაბილიტაცია, სოფ. ქსანში ახალი სკვერის (ს/კ 72.10.08.127) მოწყობა;	
მიღწეული მაჩვენებელი	ახლად მოწყობილი სკვერები 7 მისამართზე. მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო.	

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 06 02		**73,9**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		

განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 74,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 73,9 ათასი ლარით, გეგმის 99,9%. **საანგარიშო პერიოდში** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების შეკეთება.
მიღწეული მაჩვენებელი	წლის მანძილზე შეკეთებული დაზიანებული ბორდიურები და კედლები, ასევე შეღებილი მოაჯირები, განათების ბოძები და სკამები.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სადღესასწაულო ღონისძიებები**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 06 03		**241,3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 618,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 241,3 ათასი ლარით, გეგმის 39%. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები: საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;		
მიღწეული მაჩვენებელი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი; მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლება.		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სასაფლაოების მოვლა-პატრონობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 06 04		**417.5**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 417,5 ათასი ლარით, დაფინანსდა 417,5 ათასი ლარით, გეგმის 100%. 2022 წელს განხორციელდა ქ. მცხეთაში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;		
მიღწეული მაჩვენებელი	მოვლილი სასაფლაოს ტერიტორია		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 07		**828,2**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		

განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 1081,2 ათასი ლარით, დაფინანსდა 828,2 ათასი ლარით, გეგმის 76,6%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. 26 სოფელში განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები, 7 სოფელში რეაბილიტირდა გზები და სანიაღვრე არხები, 3 სოფელში განხორციელდა სასმელი წყლის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები, 13 სოფელში განხორციელდა სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, 2 სოფელში მოეწყო სკოლის და საბავშვო ბაღების ეზო, 16 სოფელში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემას;
მიღწეული მაჩვენებელი	კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტების დაფინანსება;

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 08		**282,7**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 545,7 ათასი ლარით, დაფინანსდა 282,7 ათასი ლარით, გეგმის 51,8%; 2022 წელს განხორციელდა სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია სოფ. ძალისში, წილკანში და გალავანში; ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში მოეწყო სანიაღვრე არხი, სოფ. ქსოვრისში მოეწყო და გადაიხურა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი, სოფ. წეროვანში მოეწყო მიწისქვეშა გადასასვლელთან რკინა/ბეტონის სანიაღვრე არხი.		
მიღწეული მაჩვენებელი	აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები 6 მისამართზე;		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 09		**584.7**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 1292,1 ათასი ლარით, დაფინანსდა 584,7 ათასი ლარით, გეგმის 45,2%; **საანგარიშო პერიოდში** განხორციელდა საჭირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების		

	უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია. საჭიროებისამებრ მომზადდა 62 საპროექტო დოკუმენტაცია, წლის განმავლობაში განხორციელდა ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ზედამხედველობა.
მიღწეული მაჩვენებელი	დაგეგმილი მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	02 10		**4,184.6**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	პროგრამის გეგმა განისაზღვრა 4 923,3 ათასი ლარით, დაფინანსდა 4 184,6 ათასი ლარით, გეგმის 85%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა - ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქ. N158-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დამწვარი სახურავის აღდგენა, სოფ. ლისი-მუხათწყაროს სტიქიით დაზიანებული გზის აღდგენა (განხორციელდა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები), სოფ. ლისში და მსხალდიდში სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლების აღდგენა, სოფ. მუხათწყაროში და მსხალდიდში მოსახლეობის ნიაღვრისაგან დაცვის მიზნით სანიაღვრეების მოწყობა; სოფ. საგურამოში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისთვის გადასახური მასალის შეძენა (რგფ-დან გამოყოფილი ტრანსფერით);		
მიღწეული მაჩვენებელი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა; დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები; განხორციელებული მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები;		

დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი 2022 წელს დაფინანსდა **3 369,6** ათასი ლარით.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	3,647.0	3,369.6	92.4
03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	2,815.0	2,805.0	99.6
03 02	**მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა**	752.0	564.6	75.1
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	132.0	130.1	98.5
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	620.0	434.6	70.1
03 04	**უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**	80.0	-	-

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2,805.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
განხორციელებული ღონისძიებები	პროგრამის გეგმა განისაზღვრა 2815.0 ათასი ლარით, დაფინანსდა 2805,0 ათასი ლარით, გეგმის 99,6%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან, თოვლის დროს ქუჩებში დაიყარა 145,5 კუბ.მ ქვიშა-მარილი; საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილ იქნა 3 ერთეული 14 კუბ.მ ტევადობის ნაგავმზიდი, 2 ერთეული ფორდ-ტრანზიტის დახურული ტიპის 1 ერთეული ფორდ-ტრანზიტის ღია ტიპის ა/მანქანები; პროგრამის ფარგლებში ქალაქ მცხეთისა (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდა და გატანილ იქნა (10 ნაგავმზიდით) კასპის ნაგავსაყრელზე, ქ. მცხეთიდან და სოფ. საგურამოდან - დღეში ორჯერ, ხოლო სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან - დღეგამოშვებით); აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 17243 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან 3020 ტონა, სოფლებიდან 8476 ტონა, ორგანიზაციებიდან 5747 ტონა. მცხეთის მუნიციპალიტეტში სულ განთავსებულია 1570 ცალი ნარჩენების კონტეინერი, (მ.შ. 600 ერთეული შეძენილ იქნა საანგარიშო პერიოდში), მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 210 ცალი, სოფლებში - 1220 ცალი, ორგანიზაციებში -140 ცალი . ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის 179,420 კვ.მ. ფართობის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, კოკისპირული წვიმების შედეგად ქუჩების მექანიკური გაწმენდა, ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისაგან წყლის წნევით ჩარეცხვა, ზამთარში ტექნიკური მარილის მოყრა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა. პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენისაგან. ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.		
მიღწეული მაჩვენებელი	გაუმჯობესებული ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02 01		130.1
პროგრამის განმახორციელ	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		

ებელი	
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 132,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 130,1 ათასი ლარით, გეგმის 98,5%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების, ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხვა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალ-ბარდის გაჩეხვა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 75 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან მუხათგვერდში ც/გზიდან ჭაშნიკამდე გზის მიმდებარე ტერიტორიები, აგრეთვე თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 450 კვ.მ. ნარჩენები. სისტემატურად ტარდებოდა პარკების, სკვერებისა და მწვანე ნარგავების მორწყვითი სამუშაოები, როგორც ხელით, ისე ავტომატურად და მოსარწყავი ავტოცისტერნის მეშვეობით. ყოველდღიურად უზრუნველყოფდნენ ქ. მცხეთის ცენტრალური შადრევნის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირებას.
მიღწეული მაჩვენებელი	მოვლილი, გამწვანებული სკვერები, გაზონები; გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**მწვანე ნარგავების გაშენება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	03 02 02		**434,6**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 620,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 434,6 ათასი ლარით, გეგმის 70,1%; ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. მცხეთის ტერიტორიაზე დაირგო 935 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი; განხორციელდა ამ ნერგების მოვლა-პატრონობა: მორწყვა, ჯამების მოწყობა-გაფხვიერება; განხორციელდა დაზიანებული და დაავადებული ხეების მოჭრა-გადაბელვა;		
მიღწეული მაჩვენებელი	ქ. მცხეთის ტერიტორიაზე დაირგო 935 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიჭრა I კატეგორიის 33 ძირი ხე და II კატეგორიის 33 ძირი ხე;		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	03 04		**0.0**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		

განხორციელებული ღონისძიებები	პროგრამის გეგმა განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით; დაგეგმილი მაჩვენებელი - მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულებულა;

განათლება

განათლების პრიორიტეტი 2022 წელს დაფინანსდა **6 796,9** ათასი ლარით.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
04 00	**განათლება**	8,164.5	6,796.9	83.2
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	5,877.0	5,790.3	98.5
04 02	**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა**	1,599.5	323.0	20.2
04 04	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	688.0	683.7	99.4

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	04 01		**5,790.3**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 5 877,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 5 790,3 ათასი ლარით, გეგმის 98,5%; 2022 წლიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1781 ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 690 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. საანგარიშო პერიოდში 4 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღისთვის (სოფ. აღდგომლიანთკარი, ბიწმენდი, ვაზიანი, ძველი ქანდა) შეძენილ იქნა ჭურჭელი, სამზარეულოს ატრიბუტიკა, ელტექნიკა, ქსოვილის ნივთები (საბნები, პლედები, თერმული ხალიჩები, თეთრეულის კომპლექტი), სათამაშოები, სკამები, დეზობარიერები, სამეურნეო ინვენტარი, ეზოს სამუშაო იარაღები, ცეცხლმაქრები, ელტექნიკა, მომსახურე პერსონალისთვის შეძენილ იქნა სპეცტანსაცმელი. 2022 წელს 4 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღიდან ფუნქციონირება დაიწყო ორმა - სოფელ აღდგომლიანთკარში და სოფელ ბიწმენდში.		

	საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა გაერთიანების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მომსახურება გაეწია 27 საბავშვო ბაგა-ბაღში 2000-მდე აღსაზრდელს. საბავშვო სააღმზრდელო კურსი დაასრულა და სკოლაში წავიდა სასკოლო ასაკის 532 ბავშვი.

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	04 02		323.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 1599,5 ათასი ლარით, დაფინანსდა 323,0 ათასი ლარით, გეგმის 20,2%; მიმდინარე პროექტებია: მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვაბეების გარეთ გამოტანა, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია (ვენტილაცია, გათბობა);		
მოსალოდნელი შედეგი	მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით საბავშვო ბაგა-ბაღების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	04 04		683.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 688,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 683,7 ათასი ლარით, გეგმის 99,4%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა, საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების წახალისება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი (41,5 ათ. ლარი), დასრულდა სოფ. ნიჩბისის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;		
მიღწეული მაჩვენებელი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები; სტიმული მოსწავლეებისათვის, მეტი დრო გაატარონ წიგნებთან.		

მუხლი 16 . კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტისთვის განისაზღვრა **6 791,2** ათასი ლარი, დაფინანსდა **4 965,2** ათასი ლარით (73,1%);

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	6,791.2	4,965.2	73.1
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	4,445.5	3,115.7	70.1
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,617.4	1,590.3	98.3
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	270.6	268.9	99.4
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	270.0	258.7	95.8
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	380.0	376.4	99.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	234.4	228.2	97.4
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	462.5	458.1	99.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2,828.1	1,525.4	53.9
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	2,345.7	1,849.6	78.8
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,328.3	1,276.6	96.1
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,286.3	1,234.6	96.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	100.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	736.4	312.5	42.4
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	-	
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	261.1	260.4	99.8

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01		**1,590.3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“; ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"; ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"; ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"; ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა **1,617.4** ათასი ლარით, დაფინანსდა 1,590.3 ათასი ლარით, გეგმის 98,3%; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე		

	მოქმედი სპორტული დაწესებულებები: - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ - 268,9 ათასი ლარი; - ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"- 258,7 ათასი ლარი; - ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა" – 376,4 ათასი ლარი; - ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა" – 228,2 ათასი ლარი; - ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" - 458,1 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01 01		**268.9**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 270,6 ათასი ლარით, დაფინანსდა 268,9 ათასი ლარით, გეგმის 99,4%; ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ხელფასები, სკოლის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილეობის, გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები. **საანგარიშო პერიოდში** სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებდა 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში სკოლაში ვარჯიშობდა 310 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობდა 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩემპიონ ლიგის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა სკოლის 6 გუნდი (სხვადასხვა ასაკში), სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები; ასევე, სკოლის აღსაზრდელებით დაკომპლექტებული 17 გუნდი მონაწილეობას იღებდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ტურნირების 3 ასაკობრივ ჩემპიონატში და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩემპიონ ლიგის გათამაშებაში, სადაც დაიკავეს საპრიზო ადგილები; 2022 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლამ გაიარა კატეგორიზაცია და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გრანტის სახით მიიღო 5000 (ხუთი ათასი) ლარი ;		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01 02		**258,7**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 270,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 258,7 ათასი ლარით, გეგმის 95,8%; წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სპორტსმენთა სასწავლო-საწვრთნელი		

	მეცადინეობები. **საანგარიშო პერიოდში** აკადემიაში ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობას (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) ეუფლებოდა 80-მდე სპორტსმენი (8 ჯგუფი). აკადემიის 4 სპორტსმენი ირიცხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ქვეყნის სახელით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში. მიმდინარე წლის განმავლობაში აკადემიის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ: ქალაქ ფოთში, საქართველოს საქართველოს პირველობაზე; აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში, პრეზიდენტის თასის გათამაშებაზე; სომხეთის ქალაქ ერევანში, საერთაშორისო რეგატაში; ბათუმში „აჭარა ღია ფესტივალი“, სლოვაკეთში ბ/კ ნიჩბოსნობაში ოლიმპიური იმედების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში; ქ. მცხეთაში საქართველოს ჩემპიონატში. ამ შეჯიბრებებში აკადემიის სპორტსმენებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და დაეუფლნენ 32 ოქროს, 7 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალს.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01 03		**376,4**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 380,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 376,4 ათასი ლარით, გეგმის 99,0%; **საანგარიშო პერიოდში** სკოლაში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ეუფლებოდა 404 მოსწავლე სამ ასაკობრივი ჯგუფში: 6-18 წლამდე ასაკის (ჭაბუკები), 18-20 წლამდე ასაკის (ახალგაზრდები) და 20-23 წლამდე ასაკის (კადეტები); ირიცხება 404 მოსწავლე; სკოლის აღსაზრდელები საწვრთნელ პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში. ჯამში სკოლის აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 300-ზე მეტ ნორჩ მოჭიდავეს. წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და ტურნირებში და დაიკავეს საპრიზო ადგილები;		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01 04		**228,2**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"		
განხორციელებული	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 234,4 ათასი ლარით, დაფინანსდა 228,2 ათასი ლარით, გეგმის 97,4%; **საანგარიშო პერიოდში** სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში		

ღონისძიებები	კვალიფიცირებული მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვონდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის 15 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი, სადაც 16 მწვრთნელ-მასწავლებლის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა 257 მოსწავლე. წლის განმავლობაში სკოლის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს სხვადასხვა რანგის პირველობებზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ველომრბოლელთა წარმატებები, სადაც ელიტაში (დიდები) საქართველოს ჩემპიონი გახდა სკოლის მოსწავლე; ხოლო 9 ველომრბოლელი მიწვეულ იქნა საქართველოს ნაკრებ გუნდში (სხვადასხვა ასაკში). წარმატებით დაასრულეს სეზონი კარატისტებმა და მოკრივეებმა, კრივში საქართველოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა სკოლის მოსწავლემ; სკოლის მოსწავლეებმა თავი ისახელეს ბათუმის საერთაშორისო ტურნირზეც; გასვლითი შეჯიბრებების პარალელურად ჩატარდა ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მასიურად ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული სპორტული ღონისძიებები (ჭადრაკი, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, ნარდი, დარტსი, სპორტულ ინტელექტუალური თამაში), სადაც 100-მდე სხვადასხვა ასაკის მონაწილე იყო ჩართული; სკოლის ორგანიზებით მიმდინარეობს მასობრივი სპორტული ღონისძიება საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა (მუნიციპალური თამაშები) სპორტის 7 სახეობაში, სადაც 1000-ზე მეტი მოზარდია ჩართული.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 01 05		**458,1**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 462,5 ათასი ლარით, დაფინანსდა 458,1 ათასი ლარით, გეგმის 99,0%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ცურვის შესწავლა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდა საწყლოსნო და სპორტის სხვა სახეობები; მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში გაიცა 3560-ზე მეტი აბონემენტი, ჩატარდა შიდა შეჯიბრი ცურვაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 01 02		**1,525.4**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		

განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 2828,1 ათასი ლარით, დაფინანსდა 1525,4 ათასი ლარით, გეგმის 53,9%; **საანგარიშო პერიოდში განხორციელდ**ა - სოფ. საგურამოში (2), ძველ ქანდაში და არაშენდაში მინი სტადიონების მოწყობა, სოფ. მუხრანში ტრენაჟორების მოწყობა; სოფ. ქსოვრისის საფეხბურთო სტადიონზე დამცავი ბადის მოწყობა. **მიმდინარე პროექტებია:** სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ მუხრანში, მინი სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. ძეგვში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, ქ. მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა; სოფ. მუხრანში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა;
მიღწეული მაჩვენებელი	მინი სპორტული მოედანი მოეწყო 4 სოფელში, ტრენაჟორები მოეწყო 1 სოფელში;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 02 01 01		**1,234.6**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 1 286,3 ათასი ლარით, დაფინანსდა 1 234,6 ათასი ლარით, გეგმის 96,0%; საანგარიშო პერიოდში გაწეულია ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები, დაფინანსდა სხვადასხვა კონცერტები, გამოფენები, შეხვედრები, საღამოები: საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, 9 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; უკრაინის მხარდასაჭერი ღონისძიება; ნიკო გომელაურის შემოქმედებითი საღამო, მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ნანა ცინცაძის პოეზიის საღამო, იოსებ ნონეშვილის საღამო, ლეო ანთაძის საიუბილეო საღამო, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტური, სადაც მონაწილეობდა ბიჭუნათა ანსამბლი „მცხეთა“, თენგო ხუციშვილის პოეზიის საღამო, ეროვნული სამოსის დღე, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლ „როკვა“-ს საიუბილეო კონცერტი, ხელოვნების სკოლის მოსწავლეების კონცერტი და სხვა; ცენტრში მოეწყო დოკუმენტური ფილმის „ადამ, სადა ხარ?“ ჩვენება, ცენტრთან არსებულმა ხალხურ საკრავთა ანსამბლმა „მცხეთა“ მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ-ქორეოგრაფიულ ღონისძიებაში „ელეონი მომავალი“; გაიმართა საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის აკადემიური დაჯილდოების 23-ე ცერემონიალი „მეგა-2022“; ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „როკვა“ მონაწილეობა მიიღო ფესტივალ-კონკურსებში „კავკასია - 2022“, „კავკასიის თასი - 2022“, სადაც მოიპოვა მრავალი საპრიზო ადგილი, ხოლო თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში მოიპოვა გრანპრი. ქობულეთში ჩატარებულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „მზიანი საქართველო“ მონაწილეობა მიიღო ცენტრთან არსებულმა საბავშვო თეატრალურმა დასმა და სხვადასხვა თეატრალურ ნომინაციაში მოიპოვა პრიზები;		

	მოეწყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, გამოფენა „ჩემი სამშობლო ცვლილებების გზით - სახლის ისტორიები“; ჩატარდა სარემონტო სამუშაოები (მცხეთის კულტურის ცენტრის ფოიეში შეიცვალა დაზიანებული იატაკი, ქსნის კულტურის სახლში დამონტაჟდა ახალი ფარდა, შეკეთდა სოფ. მუხრანის კულტურის სახლის დაზიანებული გათბობის სისტემა, შეიცვალა სოფ. ციხისძირი-ქსნის სამუსიკო სკოლის, ბიბლიოთეკის და კულტურის სახლის გაზმომარაგების მრიცხველი); მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს საშუალოდ 94160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოქალაქე.
მიღწეული მაჩვენებელი	წლის განმავლობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნებო სფეროში ჩატარდა 150-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**მუზეუმების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 02 01 04		**42.0**
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 42,0 ათასი ლარით, გეგმის 100%; ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯები.		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	05 02 03		**312,5**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 736,4 ათასი ლარით, დაფინანსდა 312,5 ათასი ლარით, გეგმის 42,4%; დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფელ ციხისძირში, საგურამოში, ერედაში. განხორციელდა კულტურის სახლის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა სოფელ ციხისძირში;		
მიღწეული მაჩვენებელი	წლის განმავლობაში 1 სოფელში განხორციელებული კულტურის სახლის და ეზოს კეთილმოწყობა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		0.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 20,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით ბიუჯეტიდან თანხა არ გამოყოფილა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		260,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 261,1 ათასი ლარით, დაფინანსდა 260,4 ათასი ლარით, გეგმის 99,8%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტები: - „ტურისტული საინფორმაციო პორტალი www.mtskheta.live" - „ძველი მცხეთა - ახალი ძეგლებით" - „ადგილობრივი შემოქმედება" - „პირველი მეფე, პირველი დედაქალაქი" საწესდებო მიზნების შესაბამისად წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით „ზედაპირული არქეოლოგიური დათვალიერების აქტებისა" და „ისტორიულ-არქიტექტურული კვლევების" შემუშავება დაინტერესებული პირებისათვის, მომზადდა 21 აქტი და 26 კვლევა; საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე ცენტრი მუდმივად ახორციელებდა კულტურული ძეგლების მონიტორინგს, მომზადებული ფოტო და ვიდეო მასალა განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე **bagineti.ge** და **Facebook**-ზე. ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ანტიკური ხანის აკლდამის დასუფთავება და მწვანე ნარგავებისგან გაწმენდა. მუნიციპალიტეტის სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობასა და ტურიზმთან დაახლოების პერსპექტივების, მოქალაქეობრივი ცნობიერების და პირადი პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლებაზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დამუშავდა საპრეზენტაციო თემები, მომზადდა დიგიტალური მასალა; მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში ჩატარდა შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა - „ანტიკური მცხეთა", სადაც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ ჩატარდა ლექცია ანტიკური მცხეთის ურბანული განვითარების შესახებ; ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა ხმოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ძეგლებზე (სვეტიცხოველი, არმაზის ციხე, ქსნის ციხე, ციციშვილების ციხე-დარბაზი,		

	ძალისის ნაქალაქარი);
მიღწეული მაჩვენებელი	წლის განმავლობაში განხორციელდა დაგეგმილი 4 პროექტი; წესდების შესაბამისად მომზადდა 21 აქტი და 26 კვლევა; განხორციელდა კულტურული ძეგლების მონიტორინგი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტი „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ 2022 წელს დაფინანსდა 2247,9 ათასი ლარით.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	2,504.3	2,247.9	89.8
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	1,700.9	1,582.2	93.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	294.6	294.5	100.0
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	900.0	787.1	87.5
06 01 03	ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	506.3	500.6	98.9
06 02	**სოციალური დაცვა**	803.4	665.7	82.9
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	497.2	375.0	75.4
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0	92.3	92.3
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0	2.8	68.8
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	28.4	22.1	77.7
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	75.7	75.5	99.8
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	98.1	98.0	99.9

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 01 01		**294.5**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"		
განხორციელებ	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 294,6 ათასი ლარით, დაფინანსდა 294,5 ათასი		

ული ღონისძიებები	ლარით, გეგმის 100%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის (199.0 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკუთარი სახსრების ფარგლებში განხორციელდა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს მიმართა ძაღლისა და სხვა ცხოველის მიერ დაზარალებულმა 629 პირმა, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 45 ადამიანს. პირობითი - 538-ს. ცენტრში საკმარისი რაოდენობით არის სტრატეგიული ვაქცინების და შრატების რაოდენობა, ადგილზეა გრიპისა და კოვიდის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები: ტამიფლუ და პაქსლოვიდი. წლის განმავლობაში კოვიდ-19 ვირუსზე დაიტესტა 35648 ადამიანი, ცენტრში სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდა 1636 ადამიანს, წლის განმავლობაში გეგმური იმუნიზაცია ჩაუტარდა 14 წლამდე ასაკის ბავშვებს. დედათა და ბავშვთა დაცვის პროგრამის საფუძველზე სწრაფი მარტივი კომბინირებული ტესტებით გამოკვლეულია 61 ორსული, ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში (ც ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი) გამოკვლეული იქნა 3000 ბენეფიციარი. წლის განმავლობაში სანიტარიული ზედამხედველობა განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაზე და კოვიდ რეგულაციების შესრულებაზე, გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ წერილობით ეცნობა დაწესებულების ხელმძღვანელებს. ზედამხედველობა განხორციელდა 14 საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტზე (სილამაზის სალონზე), ყველას დაესახა კონკრეტული ღონისძიებები; თამბაქოს კონტროლის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემოწმდა საჯარო სკოლები, სავაჭრო ობიექტები, სილამაზის სალონები, ტრანსპორტი, საჯარო დაწესებულებები, კაფე-რესტორნები, სასტუმროები, სამედიცინო დაწესებულებები; ჰელმინთებზე კვლევა ჩაუტარდა 65 პირს, დადასტურების შემთხვევაში მიეცათ სათანადო დანიშნულება. ცენტრის მიერ ინსექტიციდით დამუშავდა 40000 კვ.მ. ფართობი (ცხოველების სადგომები, სადარბაზოები, სარდაფები, მიტოვებული შენობები).
მიღწეული მაჩვენებელი	მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელებისგან; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 01 02		**787.1**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 900,0 ათასი ლარით, დაფინანსდა 787,1 ათასი ლარით, გეგმის 87,5 %. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები,		

	რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. 2022 წელს შემოსული განცხადებების მიხედვით დახმარება გაეწია 975 ბენეფიციარს;
მიღწეული მაჩვენებელი	975 ბენეფიციარმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი სხვადასხვა კლინიკაში;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 01 03		**506.3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 506,3 ათასი ლარით, დაფინანსდა 500,6 ათასი ლარით, გეგმის 98,9 %. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: მუხრანი, ქსანი, ციხისძირი;		
მიღწეული მაჩვენებელი	ამბულატორიების რეაბილიტაცია განხორციელდა სამ სოფელში		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 02 01		**375.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამა დაფინანსებულია 375,0 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 497,2 ათასი ლარის 75,4 %). ქვეპროგრამის ფარგლებში ძირითადად დაფინანსდა: აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 36 ბენეფიციარი (ჯამში 32,8 ათასი ლარი), ცელიაკიით დაავადებული 3 ბენეფიციარი (ჯამში 3,0 ათ.ლარი), მესამე და მეტი შვილის შეძენის გამო 38 ბენეფიციარი (ჯამში 7,8 ათ.ლარი), ხანძრის შედეგად დაზარალებული 6 ბენეფიციარი, თითოეულზე 7,5 ათ.ლარი (ჯამში 45,0 ათ.ლარი); ჟანგბადის აპარატით წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 13 ბენეფიციარს, სკოლამდელი ასაკის და დღის ცენტრის ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 375,0 ათასი ლარი; დღის ცენტრით მოსარგებლე 2 შშმ პირს გაეწია ფინანსური დახმარება თითოეულს 75 ლარი თვეში; 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული პირების საკურორტო დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს (ჯამში 5,8 ათასი ლარი); სოფ. საგურამოში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის შეძენილ იქნა		

	სამშენებლო მასალა (საცხოვრებელი სახლის სახურავის მასალა - 69,8 ათ. ლარი); საწვავი ხის მასალა (შეშა) (20,1 ათასი ლარი); ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1800 ბენეფიციარს გადაეცა სასაჩუქრე (სასურსათო) კალათა;
მიღწეული მაჩვენებელი	2000-მდე ბენეფიციარმა მიიღო სხვადასხვა სახის დახმარება მომართვიანობის მიხედვით;

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ერთჯერადი სოციალური დახმარება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 02 02		**92,3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	აღნიშნული მიზნით მიიმართა - 92,3 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100,0 ათასი ლარის 92,3%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 781 ბენეფიციარმა.		
მიღწეული მაჩვენებელი	უმწეო მდგომარეობაში მყოფი 781 ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 02 03		**2,8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამა დაფინანსებულია 2,8 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 4,0 ათასი ლარის 68,8 %). ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა: ● 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე 3 ვეტერანზე - თითოეულს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ჯამში 1,5 ათასი ლარი; ● სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისათვის, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრზე – თითოეულზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, სულ 1,3 ათასი ლარის ოდენობით;		
მიღწეული მაჩვენებელი	ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება, მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა და თანადგომა.		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 02 04		**22.1**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		

სამსახური	
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამა დაფინანსებულია 22,1 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 28,4 ათასი ლარის 77,7 %). საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარების ყოველთვიური ფინანსური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.
მიღწეული მაჩვენებელი	თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე 21 ბენეფიციარის ყოველთვიური ფინანსური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება** ათას ლარში
	06 02 05		**75.5**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამა დაფინანსებულია 75,7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის 75,5 ათასი ლარის 99,8%). სრულდება წილკნის დევნილთა დასახლებაში მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის მშენებლობა, თავშესაფრის მშენებლობის საგრანტო ღირებულება შეადგენს 820 000 აშშ დოლარს, თავშესაფარი მოემსახურება მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის მერიას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გადაეცა დაახლოებით 2,5 ტონა მოცულობის მეორადი ტანსაცმელი, საკვები (ბრინჯი), საბნები, სასკოლო ნაკრებები; მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის - „ჯანმრთელი თაობა“ - ექიმების მიერ მოეწყო უფასო სასადილოს ბენეფიციარების და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების პროფილაქტიკური გასინჯვები, რომლებსაც „ავერსის" საქველმოქმედო ფონდის დახმარებით გადაეცათ სხვადასხვა მედიკამენტი.		
მიღწეული მაჩვენებელი	განხორციელებული საგრანტო პროექტები, ჰუმანიტარული დახმარებების მიღება და განაწილება შშმ პირებზე, დევნილებზე და სოც. დაუცველ მოსახლეობაზე.		

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება**	**2022 წლის დაფინანსდა** ათას ლარში
	06 02 06		**98.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"		
განხორციელებული ღონისძიებები	ქვეპროგრამის გეგმა 98,1 ათასი ლარი, შესრულება - 98,0 ათ. ლარი, 99,9%. ქალაქ მცხეთაში ფუნქციონირებს 1 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად 40 სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებულ		

	ბენეფიციარს.
მიღწეული მაჩვენებელი	სოციალურად დაუცველი და მზრუნველობამოკლებული 40 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

განმახორციელებელი ორგანიზაცია - მუნიციპალიტეტის მერია
დაფინანსებულია 8 574,8 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის (10 123,6 ათასი ლარის) 84,7%;
დაგეგმილი შედეგი: მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართული ფუნქციონირება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურება, საბიუჯეტო პროცესის განვითარება; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებების გაუმჯობესებისათვის განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, გადახდილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევროს გადასახადი. მუნიციპალური აქტივების მართვის გაუმჯობესების მიზნით დანერგილია ქონების მართვის ახალი ელექტრონული პროგრამა;

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	2022 **წლის გეგმა**	2022 **წლის ფაქტი**	**შესრულების** %
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	10,123.6	8,574.8	84.7
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა**	9,655.6	8,386.8	86.9
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,162.3	1,058.6	91.1
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	8,206.5	7,049.0	85.9
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	250.0	246.4	98.5
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	36.8	32.8	89.2
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	468.0	188.0	40.2
01 02 03	სარეზერვო ფონდი	280.0	-	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	188.0	188.0	100.0